

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №26

ქ. თბილისი

23.04.2019

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

გიორგი ამილახვარი - შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
ნინო ლიპარტია - „იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს მდივანი;
ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
სერგო ჭელიძე - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
ანა ფირცხალაშვილი - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, პროფესორი;
მაცა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
დენიტა ბიბილეიშვილი - საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;
სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი;
თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნინო შიოშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;
ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
ქრისტინე აბულაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
კახა შენგელია - უნივერსიტეტის პროზიდენტი;
დიანა მჭედლიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
ეკა აკობია - უნივერსიტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი;
ნუგზარ სხირტლაძე - ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში.

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი:

რ.მაიკლ ქაუგლი - უნივერსიტეტის პრეზიდენტი;

ქეთევან ჯინჭარაძე - ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;

თეიმურაზ ტორონჯაზე - ბიზნესის სკოლის დეკანი და ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი;

მაია გონაშვილი - შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი;

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

ხვიჩა ბერიძე;

ფიქრია ასანიშვილი;

ნინო ბოლქვაძე;

ნინო დოლიძე;

ნოდარ ხერხეულიძე;

ირაკლი ნოდია;

გოჩა თუთბერიძე;

სოფიო ხუნდაძე;

ოთარ ქირია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ამილახვარმა. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო აკრედიტაციის საბჭოს სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა, შუამდგომლობა წარდგენილი არ ყოფილა. დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები
კვალიფიკაციის დონე	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი 0705
სწავლების ენა	ქართული
კრედიტებისრაოდენობა	120

სხდომის თავმჯდომარემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომელმაც საბჭოს წევრებს გააცნო ჯგუფის მიერ პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

- დაკორექტირდეს „სწავლის შედეგების რუკაში“ წარმოდგენილი სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების ურთიერთმიმართება; ასევე, „პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაში“ დაზუსტდეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა.
- შემუშავდეს და სამაგისტრო ნაშრომის დებულებაში აისახოს მექანიზმი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება სტუდენტთა მიერ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების შედეგების გასაჩივრება.

დაწესებულების წარმომადგენელმა დიანა მჭედლიშვილმა ისაუბრა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სწავლის შედეგების რუკას, შედეგებისა და მიზნების შესაბამისობას, რაც სწავლის შედეგების შეფასების ნაწილი იყო. ასევე განმარტა, რომ ის გახლდათ ახლად შექმნილი დოკუმენტი, რომელიც საჭიროებდა გადახედვას და განვითარებას. დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაცია და დეტალურად პროგრამის ხელმძღვანელი ისაუბრებდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ეკა აკობიამ განაცხადა, რომ სწავლის შედეგების რუკასთან დაკავშირებით იყო ტექნიკური ხარვეზი, რომელიც გაასწორეს, ხოლო ერთ-ერთი პროგრამის სწავლის შედეგი, რომელიც შედარებით კომპლექსური იყო გაამარტივეს და ენობრივადც გამართეს. შედეგად, პროგრამის ყველა საგანი გადიოდა პროგრამის სამ შედეგზე. დაბალანსებული და გასწორებული იყო ყველაფერი, რაც ხარვეზად მიიჩნეოდა. რაც შეეხებოდა საერთაშორისო სერტიფიკატების მითითებასა და დაზუსტებას, მისი თქმით, მათ ეს დაამატეს და ვებ-გვერდზეც უკვე დაკონკრეტებული იყო. კერძოდ, ყველა აპლიკანტს წინასწარ ეცოდინებოდა რა სახის სერტიფიკატი უნდა ჰქონოდა პროგრამაზე ჩასარიცხად.

პროგრამის ხელმძღვანელმა ეკა აკობიამ პროგრამის სწავლის ენის დაკონკრეტებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები. ასევე, აღნიშნა რომ დამატებითი კურსი ჰიბრიდული საფრთხეებისა და გამოწვევების შესახებ საერთაშორისო უსაფრთხოების საგანი იყო, რომელიც ბაკალავრის დონეზე იკითხებოდა. მათ შეეძლოთ ლექტორისათვის შეეთავაზებინათ სამაგისტრო სასწავლო კურსის წაკითხვაც, აღნიშნული საკითხი პრობლემას არ წარმოადგენდა და შესრულებადი გახლდათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა ეკა აკობიამ განაცხადა, რომ ძალიან ბევრ შესაძლებლობებს სთავაზობდნენ სტუდენტებს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, უბრალოდ, სტუდენტები უმეტეს შემთხვევაში მუშაობდნენ და თვითონ წყვეტდნენ ისარგებლებდნენ თუ არა. ხშირად ისინი ვერ ახერხებდნენ მთელი სემესტრით ან ორი სემესტრით წასვლას. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ასევე დაამატა, რომ თუკი გარე შეფასებაში იგულისხმებოდა საერთაშორისო აკრედიტაცია ან გარე ექსპერტების ჩართულობა, ისინი ამ მხრივაც აქტიურად მუშაობდნენ, არაერთი სილაბუსი იყო უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით წარმოდგენილი, შესაბამისად, ამ კუთხით ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდიდნენ, თუმცა ნამდვილად შეიძლებოდა მეტი განვითარება.

დაწესებულების წარმომადგენელმა დიანა მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ სამაგისტრო ნაშრომის დებულებაში მართლაც იყო ის ჩანაწერი, რაზეც ექსპერტებმა რეკომენდაცია გაუწია უნივერსიტეტს, თუმცა გამორჩენილი იყო მხედველობიდან, რადგან ისეთი პრეცედენტი პრაქტიკაში არ ჰქონიათ. მისი თქმით, აღნიშნული უკვე გაასწორეს და ჩაიწერეს რეგულაციაშიც. თუმცა, არსებობდა, ასევე გამოცდების დებულება, სადაც დეტალურად იყო აღწერილი გასაჩივრების პროცედურა, კომისიის შექმნის ეტაპები და მუშაობა. ბუნებრივი იყო ის ვრცელდებოდა იმ ნაწილზეც.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ მოსაზრება სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ხვიჩა ბერიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული ნაშრომები ერთ-ერთი საუკეთესო იყო. სწორედ იმიტომ იყო ნახსენები კვლევის დიზაინის კომპონენტი. აღნიშნული საკითხი იყო ძალიან კომპლექსური, რადგან ზოგადად დარგში სამაგისტრო ნაშრომების შექმნასთან დაკავშირებით პრობლემა იყო ის, რომ ნაშრომები არ ითვალისწინებდა ერთიან სტრუქტურას, თუმცა მათ შემთხვევაში ზემოთ აღნიშნული პრობლემა არ არსებობდა. ასევე, განაცხადა, რომ უნივერსიტეტი მოიწვევდა კონკრეტულ სპეციალისტს, ეს პროფესორი კარგად არ იცნობდა იმ კონკრეტულ სტრუქტურას, რომელსაც უნივერსიტეტი ასწავლიდა სტუდენტს, იქამდე კვლევის დიზაინით, შესაბამისად ის მექანიზმები, რომლებიც უნივერსიტეტს ჰქონდა შემუშავებული ძალიან კარგად მუშაობდა ამ

თვალსაზრისით, რაც წარმოჩნდებოდა ნაშრომებშიც. საბოლოო ჯამში კი პროგრამა გადიოდა შედეგზე.

საბჭოს წევრმა სერგო ჭელიძემ პრაქტიკასთან დაკავშირებით იკითხა, რომ პროგრამა არ ითვალისწინებდა პროფესიულ პრაქტიკას. მისი თქმით უნივერსიტეტს ჰქონდა პარტნიორი ორგანიზაციების საკმაოდ ფართო წრე, მაშინ რატომ არ იყო იმის საშუალება, რომ გაფორმებულიყო ხელშეკრულებები ამ ორგანიზაციებთან და სტუდენტებს გაეცლოთ პროფესიული პრაქტიკა პროგრამის ფარგლებში. არსებობდა თუ არა საკმარისი პრაქტიკული კურსები, რომლებიც შესაბამის შედეგზე გაიყვანდა სტუდენტს, აქვე დაამატა რომ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე პრიორიტეტული უნდა ყოფილიყო უცხო ენის სწავლება, თუმცა საერთოდ არ იყო შეთავაზებული უცხო ენა სამაგისტრო დონეზე, შესაბამისად უმჯობესი იქნებოდა, რომ გაღრმავებული კურსი ყოფილიყო შეთავაზებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა ეკა აკოხიამ განაცხადა რომ B2 დონის ინგლისური იყო ის ზღვარი, რომელიც არ საჭიროებდა გაღრმავებას, რადგან სტუდენტებს შეეძლოთ გაცნობოდნენ ინგლისურენოვან ლიტერატურას. პროგრამაზე მიდიოდნენ დასაქმებული სტუდენტები, რომლებსაც უკვე შექმნილი ჰქონდათ კარიერა პროფესიული მიმართულებით. სტუდენტის ინტერესებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იყო, რომ მას ეს დრო გამოეყენებინა სფეროს დაუფლებისთვის. რაც შეეხება პრაქტიკულ კომპონენტს, არსებობდა ძალიან ფართო პარტნიორობა სია. უბრალოდ პროგრამაში არ იყო ის კრედიტის ფორმით ჩადებული, რადგან პროგრამა ძირითად ემსახურებოდა საჯარო სამსახურში საქმიანობას, შესაბამისად, საკმაოდ რთული იყო ამის ორგანიზება. მიუხედავად ამისა, არსებობდა პრაქტიკები სტუდენტებისთვის. მაგალითად, ბოლო სამი წლის განმავლობაში ერასმუსის გრანტის ფარგლებში არსებობდა მემორანდუმები შერიგების სამინისტროსთან, რონდელის ფონდთან, საქართველოს პარლამენტთან, 8 სტუდენტმა გაიარა პრაქტიკები აღნიშნულ დაწესებულებებში. ერთადერთი მიზეზი, რატომაც არ იყო მითითებული კრედიტების სახით ის გახლდათ, რომ სტუდენტს არ შეეძლოდა ხელი და მაშინ განეხორციელებინა სასწავლო პრაქტიკა, როცა თვითონ ჩათვლიდა საჭიროდ, ხოლო უნივერსიტეტი მას შეუქმნიდა იმის შესაძლებლობას, რომ მარტივად მოეხერხებელიყო მისთვის სასურველ ორგანიზაციაში პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ხვიჩა ბერიძემ განაცხადა, რომ B2 დონე მათი აზრითაც საკმაოდ მაღალი იყო და პრაქტიკაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ სტუდენტს ჰქონოდა ისეთი სერტიფიკატი, რომელიც არ იქნებოდა ვალიდური, თუმცა ეს იყო რჩევა სამომავლო გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად. პრაქტიკული კომპონენტის პროგრამაში ასახვასთან დაკავშირებით, სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებობდა ორი მიმართულება, რომელიც შეიძლებოდა სტუდენტს აერჩია: ეს იყო საჯარო სამსახური და კვლევითი საქმიანობა. კვლევითი კომპონენტი საკმაოდ კარგად იყო განვითარებული და ამაზე სამაგისტრო ნაშრომებიც მეტყველებდა, ხოლო საჯარო სამსახურში საქმიანობის თვალსაზრისით განაცხადა, რომ ის იყო ძალიან რთული და როდესაც აღნიშნულს სავალდებულო სახეს მისცემდა უნივერსიტეტი დიდ ნაკადებზე აუცილებლად გამოიწვევდა პრობლემას, როგორც ინსტიტუციის ასევე ორგანიზაციისთვისაც. შესაბამისად მიიჩნიეს, რომ პროგრამაში წარმოდგენილი ფორმით საკმაოდ ეფექტურად მუშაობდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დიანა მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ პროგრამაში კონკრეტულად არ იყო მითითებული, როგორ და რა დოკუმენტი უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ინგლისური ენის დონის დასაკმაყოფილებლად, თუმცა ცალკე მარეგულირებელ დოკუმენტში მათ მითითებული ჰქონდათ რომ ითხოვდნენ TOEFL-ის

მინიმუმ 72 ქულას და IELTS-ის 5.5 ქულას, რაც B2 დონის შესაბამისი გახლდათ. თუმცა ეს გათვალისწინებული და ასახული იქნებოდა თავად პროგრამაშიც, რომ ნათელი ყოფილიყო მომავალი სტუდენტებისთვის.

საბჭოს სხდომაზე 16:30 საათზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 16:50 საათზე.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3¹ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა
კვალიფიკაციის დონე	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საჯარო მმართველობის მაგისტრი
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	1109
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

სხდომის თავმჯდომარემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომელმაც საბჭოს წევრებს გააცნო მათ მიერ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის განახლება (სახელმწიფო მართვა) - სილაბუსებში სავალდებულო/დამატებითი ლიტერატურის ველში ზოგადი ვებგვერდების ნაცვლად არსებულ ვებ-გვერდებზე კონკრეტული მასალის მითითება.
- სილაბუსებში უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს პრაქტიკულ კომპონენტს.
- სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასების გასაჩივრების შესაძლებლობის დაშვება.
- სამაგისტრო ნაშრომში პირველადი მონაცემების მოგროვებისა და ანალიზის კომპონენტების (რაოდენობრივი ან თვისებრივი გზით) სავალდებულოდ დამატება და შეფასების კომპონენტებში შესაბამისი ასახვა.

სახელმწიფო მართვის სილაბუსის განახლებასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა ეკა აკობიამ დაასტურა, რომ ახალი ლიტერატურა უკვე არსებობდა, თუმცა ლექტორი იყენებდა იმ ლიტერატურას, როგორც საბაზო კონცეფციებისა და ძირითადი ცნებების განმარტებისთვის საგზაო რუკას და ამასთან ერთად აძლევდა ახალ სტატიებს. თუმცა სრულებით გათვალისწინებული იყო უკვე რეკომენდაცია და განახლებული გამოცემა იქნებოდა მითითებული, ასევე 2013 წლისა და 2019 წლის გამოცემებსაც შეიძენდა უნივერსიტეტი. მისი თქმით, მეორე სილაბუსში ზოგადი ვებგვერდები ჩამონათვალის სახით

იყო მითითებული, როდესაც ლექტორი აძლევდა სტუდენტს წასაკითხად კონკრეტულ კანონს, თან აჩვენებდა სად უნდა მოეძიებინა ის. მიუხედავად აღნიშნულისა, გაითვალისწინეს რეკომენდაცია და სრულიად განახლებული იყო ვებგვერდების ჩამონათვალი ხსენებულ სილაბუსში. მსგავსი სიტუაცია იყო პრაქტიკულ კომპონენტთან დაკავშირებით. კრედიტის სახით არა, მაგრამ მუდმივად ჰქონდათ ჩადებული პრაქტიკული კომპონენტი პროგრამაში, რაც პროცესის მუდმივი თანმდევი იყო. საჯარო მმართველობის კუთხით აღინიშნა ევროკავშირის ინიციატივა, რომლის ამოცანა იყო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ადგილობრივი ეკონომიკური ზრდის პრაქტიკების გაცნობა. 6 საჯარო მმართველობის სტუდენტი იყო ჩართული ამ პროცესში. საბოლოო ჯამში, ეს სტუდენტები შეიმუშავებდნენ სამოქმედო გეგმებს საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის, ისინი უშუალოდ იცნობდნენ მერებს და ჩართულნი იქნებოდნენ სამუშაო პროცესში.

რაც შეეხებოდა სამაგისტრო ნაშრომების საბოლოო შეფასების გასაჩივრებას, ხარისხის დეპარტამენტთან ერთად შემუშავებული იყო შესაბამისი მუხლი და ჩადებული სამაგისტრო ნაშრომის დებულებაში. მონაცემების შეგროვებასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში ცალკე იყო გამოყოფილი ქულები კვლევის მეთოდებისთვის, რაც თავისთავში გულისხმობდა მონაცემების გამოყენებასა და დამუშავების მეთოდებს, რომელშიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო როგორც პირველადი, ასევე მეორეული ელემენტები. მიიღეს რეკომენდაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და გაითვალისწინეს. შექმნეს სილაბუსი, სადაც შეიტანეს მონაცემების შეგროვებასთან დაკავშირებული საკითხი, რომელიც ფაქტობრივად გულისხმობდა მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს. რჩევებთან დაკავშირებით უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მაგალითად სტუდენტების საერთაშორისო პროგრამებში ჩართვისთვის, დასაქმება იყო პრობლემა და თავშეკავების ძირითადი მიზეზი. რაც შეეხება კარიერისა და დასაქმების სამსახურის ჩართულობას დასაქმების პროცესში, შესაძლოა ინდივიდუალურად სტუდენტებთან გასაუბრება ვერ მოხერხებულა, მაგრამ წელიწადში რამდენჯერმე ადამიანური რესურსებისა და ლიდერობის მიმართულებით იწვევდნენ სპიკერებს და პრაქტიკულ საქმიანობებსაც აკეთებინებდნენ, როგორებიცაა რეზიუმეს შედგენა, ინტერვიუს პროცესის გავლის უნარები და ა.შ. ასევე, აღნიშნეს, რომ სამომავლოდ უნივერსიტეტში უნდა ჩატარებულიყო დასაქმების ფორუმი, რომელზეც 230-ზე მეტი მსხვილი დამსაქმებელი იქნებოდა მოწვეული.

საბჭოს წევრმა ანა ფირცხალაშვილმა აღნიშნა, რომ რამდენიმე საგნის სილაბუსი, რომლებიც შეთავაზებული იყო, როგორც საბაკალავრო ისე სამაგისტრო პროგრამებზე საკმაოდ ემთხვეოდა ერთმანეთს. მაგალითად საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი და ადმინისტრაციული სამართალი. რა თქმა უნდა, სამაგისტრო საფეხურზე არამარტო საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები მიდიოდნენ. შესაბამისად დასვა კითხვა, ისინი ვინც უკვე გაიარა აღნიშნული კურსი და ისინი ვინც სხვა მიმართულებიდან მიდიოდა ერთად გადიოდნენ თუ არა აღნიშნულ საგნებს. ასევე ექსპერტებს ჰკითხა, ხომ არ გადახედეს იმ საგნებს და რა მოსაზრება ჰქონდათ ამასთან დაკავშირებით.

აგრეთვე ლიტერატურასთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა ანა ფირცხალაშვილმა აღნიშნა, რომ მაგალითად 2016 წლის წიგნი გამოიყენებოდა საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, ხოლო 2018 წელს შეიცვალა კონსტიტუცია და სახელმწიფო სისტემა, შესაბამისად ფიქრობდნენ თუ არა, რომ ეს აუცილებლად გასაახლებელი იყო. როგორც რეკომენდაციებში იყო კიდევ მითითებული, ის გარკვეულ პრობლემებს ხედავდა ამ ცალკეულ საგნებთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა ნინო ლიპარტიამ განაცხადა, რომ ადმინისტრაციული სამართლის სილაბუსთან ჰქონდა რამდენიმე შენიშვნა და ამ შემთხვევაში არამართო ლიტერატურა იყო გასაახლებელი (იგულისხმება სავალდებულო ლიტერატურა). მისი თქმით, სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული იყო უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები ადმინისტრაციულ საქმეებზე 2000-2007 წლები, თუმცა არსებითად სხვა იყო 2019 წლის პრაქტიკა. ის დაინტერესდა თუ რატომ არ იყო ახალი ლიტერატურა მითითებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა ეკა აკობიამ საბაკალავრო და სამაგისტრო დონეზე საგნების შესაძლო თანხვედრასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საჯარო მმართველობაზე საბაკალავრო დონეზე ისწავლებოდა სამართლის საფუძვლები, ხოლო სამაგისტრო დონეზე საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სამართალი. ზოგადად გადაფარვა არ გამოირიცხებოდა და შესაძლოა ასეც ყოფილიყო, რადგან პროგრამაზე არ მიიღებოდნენ მხოლოდ საჯარო მმართველობის ბაკალავრის კურსდამთავრებულები, არამედ მონათესავე პროგრამების კურსდამთავრებულებიც, რომელთაც სურდათ რომ სპეციალობად გაეხადათ საჯარო მმართველობა და დაუფლებოდნენ ამ სფეროს, შესაბამისად ისეთი საგნები როგორებიც იყო საჯარო სამართალი, საჯარო პერსონალის საგნები და სხვა საგნები აუცილებლად უნდა ყოფილიყო პროგრამაში. მხოლოდ განსხვავებული იყო სწავლების მეთოდი. საბაკალავრო დონეზე იყო უფრო მეტად ზოგადი, ფართო ცოდნის მიღებაზე ორიენტირებული, ხოლო სამაგისტრო დონეზე უფრო სისტემური ღრმა ცოდნის მიღებაზე იყო ორიენტირებული, რომ უფრო მეტად პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტის მხრივ შეძლებოდა სტუდენტს ცოდნისა და სწავლების წარმართვა, რაც იმიჯნებოდა სილაბუსებით და სამაგისტრო და საბაკალავრო დონეზე ნამდვილად არ იყო იდენტური. რაც შეეხებოდა ლიტერატურას, ის იყო კონკრეტულად იმ საგნის ლექტორის გადაწყვეტილება. აღნიშნულიც იყო, რომ ეს სასამართლო პრაქტიკის 2000-2007 წლის პროცესებს მოიცავდა. ისინი გამოყენებული იყო როგორც ქეისები. სავალდებულო ლიტერატურაში იყო კოდექსი და ადმინისტრაციული სამართლის 2005 წლის სახელმძღვანელო. ეს იყო მისი უშუალო გამოცდილება და გადაწყვეტილება. აქ ლექტორს ჰქონდა მითითებული, რომ საკანონმდებლო სიახლეები დამატებით მიეწოდებოდა სტუდენტს. მისი თქმით, შესაძლებელი იქნებოდა აღნიშნული რეკომენდაცია პირდაპირ მიეწოდებინათ ლექტორისათვის. თუმცა აღსანიშნავია, რომ ის საკუთარ პრაქტიკულ გამოცდილებასა და იმ ქეისებს იყენებდა, რომლებსაც კარგად იცნობდა.

საბჭოს წევრმა ანა ფირცხალაშვილმა განაცხადა, რომ მაგალითისთვის შეიძლება აეღოთ კონსტიტუციური სამართალი, რომელიც იწყებოდა სამაგისტრო დონეზე ცნებებისა და კონცეფციების გაცნობით. თუმცა შესაძლებელი იქნებოდა, რომ ისეთ სტუდენტებისათვის, რომლებმაც გაიარეს საბაკალავრო დონეზე, ისეთი სახით მიეწოდებინათ, რომ ერთი და იგივე საგანი ორჯერ არ გაევიდოთ. მისი თქმით, კონსტიტუციური სამართლის ცნება იყო ყველაზე დაბალი დონე, შესაბამისად საბჭოს წევრმა უნივერსიტეტს ურჩია, რომ მისი რეგულირება სხვაგვარად გაეკეთებინათ, შესაძლებელი იქნებოდა ესწავლებინათ შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, ამგვარად სტუდენტი თან ცნებებს ისწავლიდა თან შედარებას. შესაძლოა კონსტიტუციონალიზმიც სხვა კუთხით ერკვნებინათ, რათა იგივე წიგნი არ ყოფილიყო ჩართული. მისი თქმით, საკმაოდ რთული იქნებოდა გამიჯვნა, თუმცა ცნება და საგანი არ უნდა შესწავლილიყო მაგისტრატურაში, რადგან ეს იყო ბაკალავრის საფეხურის ნაწილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ეკა აკობიამ განაცხადა, რომ ის იყო 11 სავალდებულო საგანი, რომელიც განსაზღვრავდა სტუდენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგზე გასვლას. მათ გარეშე შეუძლებელი იქნებოდა საჯარო მმართველობის შესწავლა. სილაბუსებს შორის

იყო განსხვავება სირთულისა და მასალის მიხედვით, ასევე სტუდენტის მიერ წაყენებული მოთხოვნის მიხედვით, ამას დაემატებოდა ნაშრომის წერა და ა.შ.

საბჭოს წევრმა ნინო ლიპარტიამ განაცხადა, რომ კონსტიტუციური სამართალის სილაბუსის, მეორე საკითხში ძალიან მცირე მასალა იყო მითითებული და არ მიიჩნდა სწორად მნიშვნელოვანი თემატიკის მცირე მასალით სწავლება. თუ მხოლოდ 5 გვერდი იქნებოდა ერთი თემატიკისთვის განკუთვნილი, მაშინ რას ასწავლიდნენ სტუდენტს, როგორ უნდა გასულიყო ის ამით პროგრამის შედეგზე? მისი აზრით ლიტერატურა იყო დასამატებელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ეკა აკობიამ განაცხადა, რომ ყოველთვის შეიძლებოდა სილაბუსის დახვეწაზე მუშაობა, თუმცა სტუდენტებს ეძლეოდათ დამატებითი საკითხავი მასალა და ელექტრონული სტატიები.

ექსპერტმა ირაკლი ნოდიაშვილმა განაცხადა, რომ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად, გაირკვა, რომ მათ არ ჰქონდათ გაცნობიერება, თითქოს სწავლობენ იგივე მეთოდებით ან/და იგივე ლიტერატურით, რაც საბაკალავრო დონეზე ჰქონდათ გავლილი. თუ ასეთი შემთხვევა იქნებოდა ისინი დასვამდნენ ამ საკითხს ლექტორებთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა ეკა აკობიამ განმარტა, რომ საჯარო მმართველობის პროგრამა იყო 2009 წელს შემუშავებული მჭიდრო თანამშრომლობით. 2 წლით უმასპინძლა უდიდეს კონფერენციას საჯარო მმართველობის მიმართულებით. პროგრამას ამ მიმართულებით არ ჰქონდა სპეციფიკის გათვალისწინების პრობლემა, თუმცა მისი თქმით, აბსოლუტურად მისაღები იყო რჩევები. ლექტორებთან დაიწყებდნენ მუშაობას, რომ გაეთვალისწინებინათ აღნიშნული საკითხები.

საბჭოს სხდომაზე 17:09 საათზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 17:15 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭომ იმსჯელა და შეიმუშავა რეკომენდაცია, რომ საგნებში: „ადმინისტრაციული სამართალი“ და „საკონსტიტუციო სამართალი“, სავალდებულო ლიტერატურა ჩასწორებულიყო და მითითებულიყო უახლესი მასალები. ასევე, სამაგისტრო პროგრამაზე უნდა მომხდარიყო აღნიშნული საგნების დახვეწა და ადაპტირება, რათა არ მომხდარიყო გადაფარვა საბაკალავრო პროგრამაში არსებულ იმავე სახელწოდების საგნებთან, იმგვარად, რომ ბაკალავრის კურსდამთავრებულებს არ მოხდენოდათ იმავე საგნის ორჯერ გავლა.

შესაბამისად სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3¹ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ

ბრძანებითდამტკიცებული, „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, მიზანშეწონილია პროგრამაზე ექსპერტის თვის თავზე ცენტრს წარედგინოს ანგარიში.



3. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა
კვალიფიკაციის დონე	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, 02
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

სხდომის თავმჯდომარემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომელმაც საბჭოს გააცნო მათ მიერ საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- უნდა შემცირდეს პროგრამის სწავლის შედეგები რაოდენობრივად;
- პროგრამის სწავლის შედეგების აღწერა უნდა იყოს მარტივი, მკაფიო, რათა ადვილი იყოს მისი გაზომვა და შეფასება. მაგ. „სტუდენტი იყენებს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდებს“; „სტუდენტი განსაზღვრავს (აღწერს) თანამედროვე საკვალიფიკაციო-სამეცნიერო თემატიკის შერჩევისა და რეალიზაციის თავისებურებებს“; „დოქტორანტი აქვეყნებს პუბლიკაციებს ბიზნესის ადმინისტრირების დარგებში საერთაშორისო რეფერირებად ან რეცენზირებად გამოცემებში; მონაწილეობს სამეცნიერო კონფერენციებში“ და ა.შ.
- დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების, სწავლა სწავლების მეთოდებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკები;
- პროგრამა უნდა გამდიდრდეს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების შესაბამისი სპეციალობის სასწავლო კურსებით, რომლებსაც გაუძღვებიან შესაბამისი კვალიფიკაციის დარგის სპეციალისტები;

- პროგრამას უნდა დაემატოს სასწავლო კურსი „ბიზნესის კვლევის მეთოდები“ არსებული სასწავლო კურსის „კვლევის მეთოდები“ ნაცვლად, რომელიც უფრო მეტად სოციოლოგიური კვლევის მეთოდების სწავლებაზეა ორიენტირებული;
- არჩევითი კურსები უნდა იძლეოდნენ მეტ შესაძლებლობას დოქტორანტმა თავისი კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, შეარჩიოს სასწავლო კურსი (მათ შორის მიმართულებების მიხედვით: ფინანსები, აღრიცხვა, მენეჯმენტი, მარკეტინგი, HR), ხოლო, რაც შეეხება თავისუფალ კრედიტებს, მისი მოცულობა უნდა შეიზღუდოს;
- სადოქტორო ნაშრომის დამუშავების პროცესში მეტად უნდა იყოს ჩართული ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სპეციალისტები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამა და თანდართული დოკუმენტაცია უნდა მოიყვანოს სრულ შესაბამისობაში აკრედიტაციის ახალ სტანდარტებთან.

სხდომის თავმჯდომარემ დააზუსტა ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნული საკითხი, კერძოდ იკითხა რას გულისხმობდა სამაგისტრო ნაშრომის დამუშავების დროს აქტიურად ჩართვა ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტის, დამუშავების ანუ წერის პროცესი იგულისხმებოდა თუ სხვა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გოჩა თუთბერიძემ განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში საკითხი შეეხებოდა დისერტაციებს, რომლებშიც მათემატიკის მიმართულების პროფესორები იყვნენ ჩართულნი, როგორც ხელმძღვანელებად. უკეთესი იქნებოდა ამასთან ერთად თანახელმძღვანელებად სპეციალისტები ყოფილიყვნენ მიმაგრებულნი, რა მიმართულებითაც ხდებოდა კვლევა. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, შედეგი იქნებოდა ბევრად უკეთესი.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა ნახეს თუ არა ექსპერტებმა სადოქტორო ნაშრომები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გოჩა თუთბერიძემ განაცხადა, რომ გაეცნენ სადოქტორო ნაშრომებს, სულ 4 სადოქტორო ნაშრომი იყო დაცული. კვლევა ნამდვილად ჩანდა, თუმცა გარკვეული ფორმალური ხარვეზები შეინიშნებოდა. ზოგადად დოქტორანტებიც და მეცნიერ-ხელმძღვანელებიც აკმაყოფილებდნენ ყველა მოთხოვნას. აღინიშნა, რომ ნაშრომები ხელმისაწვდომი იყო ყველასთვის, შესაძლებელი იყო მათი ნახვა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა ქეთევან ჯინჭარაძემ განაცხადა, რომ ძალიან ბევრი რჩევა მიიღეს და პროგრამის განაცხადის შეტანა მოხდა ექსტრემალურ პირობებში. რაც შეეხებოდა შედეგების სიმცირეს, ხაზგასმული იყო, რომ რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციებთან დაკავშირებით ეს შედეგი შეიძლებოდა შესულიყო თვითონ კვლევით უნარში, მაგრამ ვინაიდან დოქტორანტს მოეთხოვებოდა, რომ ორი ნაშრომი ჰქონოდა გამოქვეყნებული საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში. სასურველი იქნებოდა ეს შედეგი გამოყოფილიყო. აქედან გამომდინარე ძალიან დიდი ყურადღება ექცეოდა აკადემიურ წერას. პირველადი აკრედიტაციის დროს არ იყო საგანი აკადემიური წერა, თუმცა შემდეგ ამის მოთხოვნა მოხდა თვითონ დოქტორანტების მხრიდან. თავდაპირველად პროგრამის ხელმძღვანელები თვლიდნენ, რომ არ იყო საჭირო ამ საგნის ჩართვა პროგრამაში, თუმცა დოქტორანტთა ინტერესიდან გამომდინარე დაემატა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან ჯინჭარაძემ ასევე, აღნიშნა, რომ ექსპერტთა რეკომენდაციები საკმაოდ ლოგიკური იყო. ხელმძღვანელი ფაქტობრივად გზას უკვლევდა დოქტორანტს და პირველი პუბლიკაცია მათი ერთობლივი ნამუშევარი იყო. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა შედეგების სიმრავლეს, ორი დასახელებული შედეგი იყო ამაში მოთავსებული. თუმცა გამოიკვეთა ის სამეცნიერო კომპონენტი, რითაც შეიძლებოდა კვლევა

შეფასებულიყო, ეს შეაფასებდა რეფერირებად პუბლიკაციასაც და დამოუკიდებელი მუშაობის შედეგსაც. რაც შეეხებოდა არჩევით კურსებს, 2015 წლამდე არსებობდა სპეცკურსები, თუმცა შემდგომ ამოღებულ იქნა. მისი თქმით უამრავი კურსი შეიძლებოდა შეეთავაზებინათ აუდიტი, მენეჯმენტი, მარკეტინგი და ა.შ. თუმცა დოქტორანტის ყველა ინტერესი მაინც ვერ იქნებოდა დაკმაყოფილებული. შედეგად შეთავაზებულ იქნა თავისუფალი კრედიტები. ასევე შეთავაზებული იყო რომ 18 უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტთან სრული დაფინანსებით მათ შეემლოთ სასწავლო კურსების გავლა. ექსპერტთა რეკომენდაცია მისაღები იყო, თუმცა უპირატესად ინსტიტუციის მიერ ამ შედეგის მისაღწევად სხვა გზა იყო მიჩნეული.

დაწესებულების ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ბოლო წლებში უნივერსიტეტმა გააღრმავა, შესაბამისად ისინი გზას უხსნიდნენ დოქტორანტს, რომ მას სასწავლო და კვლევითი კომპონენტის დაკმაყოფილება შეძლებოდა უცხოურ უნივერსიტეტებში. რაც შეეხებოდა ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამას, იმ მხრივ უფრო მეტი იყო საშუალება, ამიტომ ეს 30 კრედიტი არჩევანი იყო სტუდენტისთვის რა მიმართულებით უნდა გაეზარდა და როგორ განეხილათარეზინა საკუთარ მოღვაწეობა.

უნივერსიტეტის წარმომადგენლის თქმით სადოქტორო თემები კონკურსის სახით წინასწარ ცხადდებოდა. მოთხოვნა იყო დოქტორანტს წარედგინა არსებულ თემასთან დაკავშირებით საკუთარი ხედვა, რომელიც ალბათ გარკვეულ ბარიერს წარმოადგენდა, მაგალითად სამართლის კურსდამთავრებული თუ გადაწყვეტდა, რომ გაეგრძელებინა სწავლა ბიზნესის მიმართულებით. ასევე, განაცხადა, რომ ექსპერტებს ადგილზე 4 დისერტაცია დახვდათ. მიმდინარე პერიოდში კი უნივერსიტეტს ჰყავდა 6 დოქტორანტი და 4 ხელმძღვანელი. ისწავლებოდა კვლევის მეთოდები, რადგან ზოგი მარკეტინგის მიმართულებით მუშაობდა, ზოგი ფინანსების და ა.შ. რამდენად დააკმაყოფილებდა ეს ყველა დოქტორანტის ინტერესებს, სოციოლოგიური კვლევის მეთოდებზე იყო მაინც დამყარებული და ეს იყო საბაზო, რომ უბრალოდ ესწავლათ, თუ როგორ ხდებოდა კითხვარის მომზადება და ა.შ. სამუშაო საათი იყო საკმაოდ ნაკლები, არც საკონტაქტო საათი იყო ბევრი, თუმცა შემდეგ ხდებოდა ინდივიდუალური და ელექტრონული მუშაობა დოქტორანტებთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტში იმსჯელეს და მიიჩნიეს რომ ექსპერტების მიერ შემოთავაზებული კურსი შეიძლება ორი მიმართულებით შემდგარიყო: ბიზნესის კვლევის მეთოდები და სტატისტიკისა და პროგნოზირების მეთოდები. სტატისტიკისა და პროგნოზირების მიმართულება მხოლოდ ფინანსებისთვის იქნებოდა რელევანტური, რაც არ იქნებოდა სარგებლიანი მათთვის ვინც მარკეტინგის მიმართულებით მუშაობდა. შრომის ბაზრის კვლევის შესახებ აღინიშნა, რომ წარმოდგენილი მხოლოდ ის, რაც სადოქტორო პროგრამასთან მიმართებით გამოიხატა. მათი დასაქმება დაფიქსირდა უფრო მეტად კვლევით დაწესებულებებში. სპეციალურ კურსებთან დაკავშირებით ექსპერტების რეკომენდაცია იყო, რომ როდესაც აკრედიტაცია გაიარა პროგრამამ აღნიშნული კურსები ამოედოთ. რუკების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით კი განმარტეს, რომ ის ყველა სილაბუსს ახლდა, შესაბამისად არ იყო გადმოტანილი პროგრამაში. ინსტიტუტია დაეთანხმა ექსპერტთა მოსაზრებას და განაცხადა, რომ გაითვალისწინებდა რეკომენდაციებს.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სადოქტორო პროგრამებს, ზოგადად, ფინანსურად უჭირდათ მდგრადობა და დაინტერესდა ეს საკითხი როგორ იყო მოგვარებული მათ შემთხვევაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ქეთევან ჯინჭარაძემ განმარტა, რომ ცალკე სადოქტორო ბიუჯეტი არ არსებობდა, მთლიანად გამოიყოფოდა ფაკულტეტისთვის და შემდეგ ნაწილდებოდა. თუმცა კვლევაზე განსაკუთრებული თანხა იყო გამოყოფილი, რადგან კვლევითი ინსტიტუტი მუშაობდა ბიზნესის სკოლაში. მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში ხდებოდა გამოქვეყნება და შესაბამისად ჰქონდათ დაფინანსება.

საბჭოს წევრი გაიანე სიმონია დაინტერესდა რამდენი იყო პროგრამის ხანგრძლივობა და ჰქონდათ თუ არა ანტიპლაგიატის პროგრამა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ქეთევან ჯინჭარაძემ განაცხადა, რომ პროგრამას ჰქონდა 180 კრედიტი შესაბამისად სამი წელი, ასევე არსებობდა ანტიპლაგიატის პროგრამა.

საბჭოს წევრმა თეა მჭედლურმა მოიწონა ინდივიდუალური მიდგომა დოქტორანტებთან, თუმცა ის დაინტერესდა შემდეგი საკითხით, სავალდებულო სასწავლო კომპონენტში იყო 40 კრედიტი და არჩევითში 30 კრედიტი, იმ 5 სასწავლო კომპონენტიდან ნაწილი რომ აერჩია სტუდენტს და ის 30 კრედიტი დაეფარა მაინც გავიდოდა თუ არა ის შედეგზე. ასევე, იკითხა რა კრიტერიუმები ჰქონდა უნივერსიტეტს დაცვაზე და რა შემთხვევაში დაიშვებოდა მასზე სტუდენტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ქეთევან ჯინჭარაძემ განაცხადა, რომ ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში სტუდენტი გავიდოდა შედეგზე. ძირითადი სასწავლო კურსებით მიიღწეოდა შედეგი, ხოლო არჩევითი საგნებით ღრმავდებოდა ცოდნა ინტერესის მიხედვით, თუ მას ექნებოდა ორი საერთაშორისო რეფერირება ან/და სტუდენტის სადოქტორო ნაშრომს ექნებოდა საერთაშორისო რეცენზირება უცხოეთის უნივერსიტეტში. ასევე, აღნიშნა რომ დაცვა წინასწარ არ ხდებოდა, არაფორმალური კავშირები იყო ძალიან ბევრი და ხელმძღვანელები ყოველთვის იყვნენ საქმის კურსში რა დონეზე იყო დოქტორანტი და რას აკეთებდა ის.

საბჭოს წევრმა თეა მჭედლურმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს განეხილა შემთხვევა როდესაც წინასწარ იცოდა დოქტორანტობის მსურველმა რა თემაზე უნდა ჰქონოდა თემატიკა და სთხოვა უნივერსიტეტის წარმომადგენელს დეტალურად აეხსნა პროცესი როგორ მიმდინარეობდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ქეთევან ჯინჭარაძემ განაცხადა, რომ გამოქვეყნება ხდებოდა საბუთებთან ერთად, პოტენციურ დოქტორანტს უნდა წარედგინა საკუთარი ხედვა, თვითონ პრობლემატიკას კი დასვამდა პოტენციური ხელმძღვანელი. წერილობითი დასკვნა განიხილებოდა, თუ ხელმძღვანელს ექნებოდა ცოტა საკონტაქტო საათი, შესაბამისად ეს მისი დატვირთვიდან გამომდინარე გადაწყდებოდა. ერთ ხელმძღვანელზე იყო მაქსიმუმ 3 დოქტორანტი, რადგან მისი განმარტებით მიღება იყო ძალიან შეზღუდული.

საბჭოს წევრმა ანა ფირცხალაშვილმა იკითხა თუ გამოცხადდებოდა საკვლევი თემატიკა, იმ შემთხვევაში გამოცხადდებოდა ზოგადი თემატიკა თუ კონკრეტული თემა. დაწესებულების წარმომადგენელმა ქეთევან ჯინჭარაძემ განაცხადა, რომ ცხადდებოდა ფართო თემა, შემდეგ ხდებოდა მისი დავიწროება ხელმძღვანელთან მუშაობის შედეგად.

საბჭოს სხდომაზე 17:59 საათზე გამოცხადდა შესვენება.

საბჭოს სხდომა განახლდა 18:05 საათზე.



შესაბამისად სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:


„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3¹ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებითდამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, მიზანშეწონილია პროგრამაზე ექსპეტივის თვის თავე ცენტრს წარედგინოს ანგარიში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა დასრულდა დახურულად გამოცხადდა 18:10 საათზე.

თავმჯდომარე

გიორგი ამილახვარი



მდივანი

ნინო ლიპარტია

